სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხაბალაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	80	100

გიორგი გზობავა

თარიღი: 16.09.2024 წ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„16“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **ნინო ხაბალაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 ივლისის №1/77 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით დარეგისტრირდა **ნინო ხაბალაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 5 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **ნინო ხაბალაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

<u>1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

კანდიდატი **ნინო ხაბალაშვილი** არის შრომისმოყვარე, პატიოსანი, ობიექტური, მიზანდასახული, თავდაჭერილი, პასუხისმგებლიანი. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში **ნინო ხაბალაშვილს** ჩადენილი აქვს ერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **ნინო ხაბალაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

<u>2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>2.1. სამართლის ნორმების ცოდნა</u>

ნინო ხაბალაშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 79/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 9.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* ნინო ხაბალაშვილს მეტწილად აქვს თეორიული ცოდნა, იცნობს შესაბამისი კანონმდებლობის მნიშვნელოვან დებულებებს. მეტწილად პრაქტიკაში კარგად იყენებს თეორიულ ცოდნას. მეტ-ნაკლებად სწრაფად შეუძლია მასალის გააზრება. რეკომენდირებულია იმუშაოს ზეპირი გადმოცემის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. ყურადღება უნდა გაამახვილოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობაზე. *სამოქალაქო სამართალში* მუშაობისას შესაფასებელ პირს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მეტ-ნაკლებად შეუძლია განსაზღვროს არსებული კვლევის მიმართულება, სტაჟირების პერიოდში მას გადაეცემოდა საქმე, სადაც უნდა განესაზღვრა მოთხოვნის საფუძველი, სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები. ძირითადად, მას შეეძლო ფოკუსირება მნიშვნელოვან საკითხზე, თუმცა შეცდომები იყო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისობაში. მოსაზრებებს აყალიბებს მოკლედ და ლაკონიურად. მისი დასაბუთებები ლოგიკური და გასაგებია. სასურველია გამოიმუშაოს მეტი თავდაჯერებულობა და დამაჯერებლობა ზეპირი ფორმით არგუმენტირებისას. *სისხლის სამართალი* - ვინაიდან

სისხლის სამართალი არ არის მისი სპეციალიზაცია, სჭირდება გარკვეული მითითება, თუმცა მითითებიდან გამომდინარე ცდილობდა დავალების სწორად გადაწყვეტას. მეტწილად ლოგიკურად მსჯელობდა და ზოგჯერ უშვებდა შეცდომებს. მის მიერ მომზადებული პროექტები საჭიროებენ შესწორებას და რედაქტირებას. ქმედებების კვალიფიკაციას, როგორც წესი, ახდენს სწორად, თუმცა შეიძლება დაუშვას შეცდომა. მატერიალურ და საპროცესო ნორმებს უმეტესწილად იყენებს სწორად.

ნინო ხაბალაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ იგი იცნობს სამოქალაქო სამართლის ნორმებს, ასევე, მეტ-ნაკლებად იცნობს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

საჯარო მოსმენისას მის მიმართ დასმული იქნა არაერთი სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, მათ შორის: გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ, ასევე, რა კატეგორიებს ეხება დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები, სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეულ ზიანზე, სარჩელის მიღების ვადებზე, სარჩელის სახეებზე, აღიარებით სარჩელებს შორის სხვაობის შესახებ - სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალში, საერთაშორისო სამართლის კუთხით დაისვა შეკითხვა აბსოლუტურ უფლებებთან დაკავშირებით, რაზეც კანდიდატმა ძირითად შემთხვევებში ვერ გასცა ამომწურავი, ზუსტი და დამაჯერებელი პასუხები.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნინო ხაბალაშვილი** უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის 18 წლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, აქვს ანალიტიკური აზროვნები უნარი და შეუძლია გადაწყვეტილებების დასაბუთება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჯარო შეხვედრისას კანდიდატმა ვერ გასცა ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხები შეკითხვების უმეტესობას, რის გამოც მოკლებული ვარ შესაძლებლობას სრულყოფილად შევაფასო კანდიდატი მოცემული კრიტერიუმით.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნინო ხაბალაშვილი** უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

ნინო ხაბალაშვილს გააჩნია გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოსმენის უნარი. იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატს ეტყობოდა ოდნავი მღელვარება, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში უჭირდა საკუთარი პოზიციის ნათლად გადმოცემა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, სამოქალაქო სამართალში ნინო ხაბალაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილების პროექტები არ არის გადატვირთული არაფრის მთქმელი, უშინაარსო ფრაზებით. წერისას იყენებს გასაგებ ენას, მოსაზრებას აყალიბებს ლაკონურად და დასაბუთებულად, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების შინაარსი და სტრუქტურა გამართულია. ადმინისტრაციულ სამართალში წერილობით დოკუმენტებს, როგორც წესი, შინაარსობრივად სწორად აყალიბებს. სისხლის სამართალში, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტების პროექტები საჭიროებენ კორექტირებას და შესწორებას, თუმცა მთლიანობაში მას შესწევს უნარი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი პრობლემატიკა გაიგოს და შეძლოს მისი წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება საშუალო სირთულის გათვალისწინებით.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნინო ხაბალაშვილი** უნდა შეფასდეს 15 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის შრომისმოყვარე, თავისი საქმის ერთგული და პუნქტუალური.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნინო ხაბალაშვილი** უნდა შეფასდეს 13 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

ნინო ხაბალაშვილი მუდმივად ცდილობს კვალიფიკაციის ამაღლებას, ესწრება ტრენინგებსა და სემინარებს.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.</u>

<u>ნაშრომები/პუბლიკაციები:</u>

- არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, ჟურნალი: „თეუსუ" №1, 2009 წელი;
- არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება შრომითი უფლებების დარღვევის დროს, ჟურნალი: „ცხოვრება და კანონი" №18, 2012 წელი.

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატმა 2009 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.
- ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, ასევე გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნინო ხაბალაშვილი** უნდა შეფასდეს 9 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

2.6. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმით **ნინო ხაბალაშვილის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- 2016 წელი - ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს საქმიანობა და გადაწყვეტილებები, ქ. სტრასბურგი, გერმანია;
- 2016 წელი - იურიდიული მართლწერა;
- 2017 წელი - ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში;
- 2018 წელი - „რელაციის ტექნიკა; მტკიცებულებათა შეფასება; მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო სამართალში";
- 2022 წელი - „დისკრიმინაციის თემაზე ეროვნული სტანდარტები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში" და სხვა.

დასკვნა: პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **ნინო ხაბალაშვილი** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **ნინო ხაბალაშვილი სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **80** (ოთხმოცი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი